№ 96 9 მაისს, ოთხშაბათი 1866—1879 9 მაისს, ოთხშაბათი № 96

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შალიკოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**ლივადია, 4 მაისს.** გუშინ მოვიდა აქ ბოლგარიის დეპუტაცია, ჩააბარა პრინც ბატენბერგს იმის ბოლგარიის მთავრად ამორჩევის ოქმი და ამასთან ერთად წარდგნენ წინაშე ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცისა.

**ლივადია, 4 მაისს.** როცა პრინც ბატენბერგმა ბოლგარიის დეპუტაცია წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს, შემდეგი სიტყვა მოახსენა: „მე მივიღე ბოლგარიის დეპუტაციისაგან ჩემი ამორჩევის ოქმი და ახლა ჩემ წმინდა მოვალეობად ვრაცხ მოვახსენო მადლობა თქვენს უდიდებულესობას, როგორც ჩვენის ხალხის განმათავისუფლებელს.“ ხელმწიფე იმპერატორმა სადილად მიიპატიჟა დეპუტაცია.

**პეტერბურღი, 6 მაისს.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ორენბურღის გენერალ-გუბერნატორისაგან შინაგან მინისტრთან მაკოვთან გამოგზავნილი დეპეშა: „4 მაისს, საშინელის ქარის დროს, ხელ-ახლად გაჩნდა ცეცხლი ნიჟნეურალსკში; დაიწვა: ხაზინა, ცეცხლის საქრობი მაშინები და ბევრი სხვა შენობები; ხაზინის ფული და ქაღალდები გადაარჩინეს. ხალხი გამოუთქმელს გაჭირებაშია. ნება მომეცით გადამწვრებს ფულით შემწეობა მივცე. ხვალ მე თვითონ მივდივარ ურალსკში.

დღეს დიდი ცეცხლი გაჩნდა ორენბურღში; მომეტებული ნაწილი შენობებისა, რომლებიც ადრინდელ ცეცხლს გადურჩა, ახლა დაიწვა. ცეცხლი რკინის გზაზე გადავიდა; ამ მინუტში შეშა იწვის ვაგზალზე.

**ლივადია, 6 მაისს.** ბოლგარიის მთავარი ჩაჯდა გუშინ ხომალდში და ოდესსისაკენ წავიდა; იმის წასვლის წინათ სასახლის ეკკლესიაზე მოლოდვა იყო, რომელზედაც დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, ბოლგარიის მთავარი და დეპუტაცია.

### პეტერბურღის ბირჟა, 6 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 97—50 |
| მეორე— — — — — — | 96—50 |
| მესამესი — — — — | 95—87 |
| მეოთხესი — — — — | 96— „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 94— „ |
| აღმოსავლეთის მეორე— | 94— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—58 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
| პირველი სესხის — — | 242—75 |
| მეორე სესხის — — — | 237—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23— „ | პენსი |
| ამსტერდამი— — | 115 62 | ცენტი |
| ბერლინი— — — | —194 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | —242 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | „ — „ | |

## საქართველო

### თფილისის ბანკის კრება

5 მაისს.

სხდომის გახსნისათანავე ყველაზე პირველად ლაპარაკი იმაზედ დაიწყეს—თუ რაზედ უნდა იქმნეს მოხმარებული ის 11,000 მანეთი რომელიც, ქართული თეატრის სასარგებლოდ დანიშნულის სამი ათასის მანეთის გარდა, რჩება საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებელ ფულიდამ.

ამ საგნის შესახებ უფ. დ. ი. ყიფიანმა წარმოსთქვა კრებაში ჩინებული, მჭევრმეტყველური სიტყვა, რომელშიაც განმარტა ახლად-დაარსებულის „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წესდება და მიზანი და სთხოვა კრებას, რომ ეს ფულები ამ ფრიად-სასარგებლო და საქვეყნო საქმისათვის შეეწირა.

კრებამ ტაშის-კვრით მოისმინა უფ. დ. ი. ყიფიანის სიტყვა და იმის წინადადების თანახმად, ერთხმათ გარდაწყვიტა, რომ ხსენებული 11,000 მანეთი ჩვენში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიეცესო.

შემდეგ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, რადგან ბანკის მმართველს თ. ილია ჭავჭავაძეს სამსახურის ვადა გათავდა, ამ თანამდებობაზე ახალი კენჭის-ყრა უნდა მოხდესო. კრებამ ერთხმად შეჰქნა გრიალი: „— არ გვინდა კენჭი! არ გვინდა! ისევ ილია დარჩეს! უკენჭოთ ესთხოვეთ, უკენჭოთ!“

უკანასკნელი ხუთის მინუტის განმავალობაში იყო ერთი გაუწყვეტელი ყვირილი: „უკენჭოთ, უკენჭოთ! ილია, ილია!“

ბოლოს თ. ილია ჭავჭავაძე წამოდგა და მადლობა მოახსენა კრებას.

ზედამხედველ კომიტეტის წევრებად ამორჩეული იქმნენ:

თფილისის უეზდის მხრით: პოლკ. თ. დ. ა. სუმბათოვი და ვ. დ. თულაშვილი;

გორის: გენ.-ლეიტ. კ. ქ. მამაცაშვილი და დ. ი. ყიფიანი;

თელავის: თ. დ. დ. ჯორჯაძე და თ. ზაქ. ა. ჯორჯაძე;

სიღნაღის: თ. იასსე ალ. ანდრონიკაშვილი და თ. ნაპ. ღ. ამატუნი, და

დუშეთისუეზ: თ. ირ. კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და თ. გ. ვ. ბარათაშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარედ დარჩა ისევ უფ. კ. ქ. მამაცაშვილი.

ბოლოს დამფასებლების კენჭი-ყრას შეუდგნენ. (სულ კენჭის მყრელი იყო 91 კაცი). მომატებული კენჭი ამოუვიდათ: თ. ლევან ჯანდიერს—73 თეთრი, თ. ივანე (ნუშკო) სუმბათოვს—71, თ. გიგო ორბელიანს—66, ბეჟ. რატიევს—63, ანტ. ფურცელაძეს—56, სიმონ ჩერქეზოვს—52, ზაალ ხერხეულიძეს—49, კოსტ. ნაცვალოვს—42 და გ. რატიევს—37. ხუთი ამათგანი დამფასებლებად ითვლებიან (ჯამაგირი—1,200 მანეთი—მხოლოთ სამს ექნება), დანარჩენი კანდიდატებად.

ნაშუადღევის 2 საათზე სხდომა დაიხურა და ამნაირად ბანკის კრებაც გათავდა.

### ქუთაისის ბანკის კრება

28 აპრილს.

სხდომა გაიხსნა 11 საათზე. ითვლება 377 კენჭი. დღეს განსასჯელი საგანი იგივეა, რაზედაც გუშინ ლაპარაკობდნენ—რას მოახმარონ საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული ფული.

კომიტეტმა თავის აზრი წარმოადგინა ამის შესახებ; ეს ფული უნდა მოეხმარდესო შკოლას, ქალების გიმნაზიას, ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოებას, წერა-კითხვის და პირველ დაწყებითი სწავლის გამავრცელებელ საზოგადოება

სა

უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა შესაწევნელათ და განსვენებული გ. ღოლაბერიძის სახსოვრათ სტიპენდიის დასაარსებლათ რომელსამე უმაღლეს სასწავლებელში. რაც ამ ხარჯებს გარდარჩება, გირაოს ფურცლებათ ვაქციოთო და ფული სარგებლიანათ გვექნება შენახულიო.

პირველი კითხვა იყო შკოლაზე. არავინ არ იყო შკოლის გახსნის წინააღმდეგი: ყველამ ერთ-ხმათ გამოსთქვა თანხმობა.

**თავმჯდომარემ** სთქვა, რომ შკოლის პროექტის შემდგენლები გვირჩევენო, რომ ეს შკოლა მიენდოს იმ საზოგადოებას, რომელიც შესდგა თფილისშიო „წერა-კითხვას და პირველ დაწყებითი სწავლის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რადგან ბანკს არ შეუძლია შკოლა ექნესო. მაგრამ, ჩემის ჰზრით, ის საზოგადოება ჩვენს შკოლას არ მიიღებსო, ჰ თქვა თავმჯდომარემ. იმ საზოგადოებას მიზნათ აქვსო წერა-კითხვის გავრცელებაო და ჩვენმა შკოლამ მარტო წერა-კითხვა კი არა, იმდენი უნდა ასწავლოს ყმაწვილს, ისე უნდა მოამზადოს, რომ ყმაწვილს შეეძლოს გიმნაზიაში შეჰსვლაო, პირველ კლასში. ჩემის აზრით, საჭიროა ცალკე საზოგადოება შევადგინოთ, რომელსაც ნება ექნეს გახსნას შკოლაო.

**კირ. ლორთქიფანიძე.** ცალკე საზოგადოების შედგენა არ ივარგებს: რამდენიმე საზოგადოება რომ იქნება, მაშინ ძალა განაწილდება და ისე ვერ იმოქმედებს, როგორც მაშინ, როცა საზოგადოებათა რიცხვი ნაკლებია და ძალები შეკრებილნი არიან ერთათ. თფილისში შესდგა წერა-კითხვის და პირველ-დაწყებითი სწავლის გამავრცელებელი საზოგადოება. იმ საზოგადოებაში იმერლებიც არიან მრავალნი და იქნებიან. ახალი საზოგადოება რომ შევადგინოთ, იმაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა ბევრმა იმათგანმა, რომელნიც ახლა თფილისის საზოგადოებაში ითვლებიან, და ცალკე საქმე დაიწყონ, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ამ განცალკევებას, მხოლოთ მეტი შრომა და დროს დაკარგვა იქნება. თფილისის საზოგადოებას, რომელსაც გვინდა მივანდოთ ჩვენი შკოლა, მიზნათა აქვს იმოქმედოს არა მარტო თფილისის გუბერნიაში, არამედ ქუთაისის გუბერნიაშიაც და ყველგან, საცა კი ჰსცხოვრობენ ქართველნი. იმ საზოგადოებას უსათუოთ განყოფილება ექნება თავისი ქუთაისში, საცა მომქმედ პირებათ უსათუოთ აქაურები იქმნებიან. ამიტომ იმ საზოგადოებას ადვილათ შეუძლია მიიღოს ჩვენგან ფული და გაგვიხსნას შკოლა. ამბობენ, ვითომც იმ საზოგადოების მიზნის წინააღმდეგი იყოს ის, რომ ჩვენი შკოლა მოსამზადებელი იქნება; მაგრამ საქმე ხომ ამ სიტყვაში არ არის „მოსამზადებელიო“,—პროგრამმა ჩვენის შკოლის იმისთანაა, როგორიც იმ საზოგადოების შკოლებში იქნება; ის საგნები უნდა ვასწავლოთ ჩვენ შკოლაშიაც, რომლებსაც ის საზოგადოება ასწავლის და იმ ენაზედ უნდა ვასწავლოთ, როგორც იმ საზოგადოებას აქვს მიზნათ. სწავლების მეცნიერება ახლა იმ აზრს ადგია, რომ ყმაწვილი გაეცნას თავდაპირველათ, შემოკლებით, მისი გონების შესაფერებელ სივრცით, იმ საგნებს, რომლებსაც ისწავლის ის შემდეგ, როცა ის იქნება პირველს, მეორე, მესამე და უმაღლეს კლასებში გიმნაზიისა. მხოლოთ ამნაირი მოსამზადებელი შკოლაა საფუძვლიანი ახლანდელი სწავლების მეცნიერების აზრით. ეს აზრი სრულიათ წინააღმდეგი არ არის პირველ-დაწყებითი შკოლის აზრისა. პირველ-დაწყებით შკოლაშიაც რომელიმე საგნისას მარტო ერთ ნაწილს კი არ ასწავლიან, —იქ ყველა სასწავლო საგნებს—არითმეტიკას, საღმრთო სჯულს, ენას, გეოგრაფიას, ხატვას და სხვ.—ასწავლიან სრულათ, ყველა ნაწილებს, მაგრამ იმოდენათ მოკლეთ და იმნაირათ, რომ დამწყებ ყმაწვილის ძალამ შესძლოს ეს.

კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძე იყო იმ კომისიის წევრი, რომელმაც შეადგინა შკოლის პროექტი. ამ კომისიის წევრები ყველანი არ ყოფილან კრებაში. თავმჯდომარეს აზრი იყო, ვითომ მოსამზადებელი კლასის პროგრამმა უნდა იყოს (როგორც ეტყობოდა, მას სახეში ჰქონდა მოსამზადებელი კლასი, როგორც არის ახლა გიმნაზიებში) უფრო ვრცელი, ვიდრე პირველ დაწყებითი შკოლისა, რომელსაც ვითომ მიზნათ ჰქონდეს მარტო წერა-კითხვის გავრცელება. სიტყვის ნება სთხოვა თავმჯდომარეს კომისიის მეორე წევრმა ა. ჭიჭინაძემ.

**ა. ჭიჭინაძე.** ბატონებო! ჩემის აზრით, შემცდარნი ვიქნებით, რომ ვიფიქროთ, რომ თფილისის საზოგადოებას, რომელზედაც მოგახსენებენ, მიზნად ჰქონდეს მარტო წერა-კითხვის გავრცელება. იმ საზოგადოების წესდებაში არის ნათქვამი, რომ მიზანი წერა-კითხვის და პირველ-დაწყებითი სწავლის გავრცელება არისო. თუ საზოგადოების შკოლების პროგრამმა მარტო წერა-კითხვის სწავლაში მდგომარეობდეს, მაშინ მეორე სიტყვა წესდებისა, „პირველ-დაწყებითი სწავლაო“, უადგილო იქნებოდა და არ იყო საჭირო დაეწერათ. წერა-კითხვა და პირველ-დაწყებითი სწავლა სრულათ არ ნიშნენ ერთსა და იმასვე; წერა-კითხვა მარტო არ შეადგენს პირველ-დაწყებით სწავლას. ახლანდელის სწავლების მეცნიერების აზრით, პირველ-დაწყებითი შკოლის პროგრამმა ბევრათ უფრო სრულია, მოსაზრებულია და თანახმაა იმ მიზნისა, რომელზედაც უნდა მიიყვანოს ყმაწვილი სწავლამ, ვიდრე პროგრამმა მოსამზადებელი კლასისა, რომელიც არის ახლა ჩვენს გიმნაზიებში. თუ ინებებთ, მე მზათა ვარ წარმოგიდგინოთ ორივე პროგრამმა და დაგარწმუნოთ ჩემს ნათქვამში. მეც გახლდით იმ კომისიაში, რომელმაც წარმოადგინა შკოლის პროექტი. ჩვენი აზრია გვექნეს შკოლა პირველის პროგრამმით და არა მეორეთი. ჩვენის აზრით, თუ ყმაწვილს ეცოდინება უფრო ვრცელი და მოსაზრებული პროგრამმით, ვიდრე ახლანდელი გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის პროგრამმა თხოულობს, რა მოუშლის ყმაწვილს შევიდეს იქ, სადაც ის შედის აქამდის გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის პროგრამმით მომზადებული? ჩვენი პროექტით შკოლა უნდა იქნეს პირველ-დაწყებითი, რომელიც უკეთ მოამზადებს ბავშებს, ვიდრე ახლა ემზადებიან ბოვშები გიმნაზიის პირველ კლასში შესასვლელათ. გარდა ამისა თფილისის საზოგადოებას აქვს წესდებაში, რომ ის ეხმარება იმ შკოლებს, რომელნიც მისგან არიან გახსნილნი, თვითონ გახსნის შკოლებს, ეხმარება სხვებს შკოლების გახსნაში და ღებულობს თავის მიზნის მისაღწევნელათ პირობიან შეწირულებას. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი შკოლის პროგრამმა არ არის წინააღმდეგი იმ საზოგადოების მიზნისა. ჩვენი პროექტი უმთავრესათ შეიცავს შკოლის შინაგან განწყობილებას: რამდენი განყოფილება იქნესო, რამდენი და რამდენი მასწავლებელი იქნეს და ეს დაიხარჯოსო; სწავლება ქართულ ენაზე იქნესო. არც ერთი ამ გარემოებთაგანი არას უშლის საზოგადოების მიზანს, და მე ვგონებ თფილისის საზოგადოება ვერავითარ დაბრკოლებას ვერ დაინახავს ჩვენი შკოლის მიღებაში.

შეიქნა ლაპარაკი, თუ ვის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს ეს შკოლა.

(გაგრძელება)

---

## დღიური

*** გასული ორშაბათის სხდომაზე თფილისის ქალაქის რჩევაში ხანგრძლივი მოლაპარაკება ატყდა პირობის შეკვრის თაობაზედ იმ ინჟინერებთან, რომელთაც უნდა იკისრონ ქალაქში წყლის გაყვანის პროექტისა და პლანის შედგენა. ბოლოს რჩევამ მიიღო ხმ. უფ. სპიროვის წინადადება, რომ ამოვირჩიოთ კამისიაო, რომელსაც მივანდოთ კანტრაქტის დაწერა, ეს კანტრაქტი გაუგზავნოთ შემდეგ ინჟინერებს და თუ დათანხმდებიან, ხელს მოაწერენ და საქმეს შეუდგებიანო. ამ კომისიის წევრებად ამორჩეულ იყვნენ: უფ. სპიროვი, სტატკოვსკი, მ. ბებუთოვი, ევანგულოვი და ალხაზოვი, რომელთაც მომავალ შაბათისთვის უნდა შეადგინონ კონტრაქტის პროექტი და რჩევას წარუდგინონ დასამტკიცებლად.

ამავე სხდომაზე რჩევამ ამოირჩია აუქციონის კამერის წევრები: გამგებელი უფ. პ. ბაბანასოვი და აუქციონისტებად უფ. ბარხუდარიანი და იუზბაშოვი.

*** ავჭალის მახლობლად გაჩენილი კალია, როგორც გვესმის, თან-და-თან უახლოვდება თურმე ქალაქს; ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ იმ სოფლის ხალხს, რომელიც თფილისის ახლო-მახლო სოფლებიდამ გამოწვეულია ამ ჟამად კალიის გასაწყვეტად, ქალაქის მცხოვრებლებიც დაეხმარონ ამ საქმეში; კარგი

ეროვნული

იქნება აგრეთვე, რომ ჯარებიც გაიყვანონ მინდვრებში კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად..

*** ბათუმიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ოსმალეთიდამ დაბრუნებულ მოხულეთლებმა და აფხაზებმა ძალიან გაჭირებული ცხოვრების ამბავი ჩამოიტანეს იქიდამაო; თვითონაც მშივრები და ძონძებში გამოხვეულები იყვნენო, და ამ გარემოების წყალობით ახლა აღარავინ აღარ აპირებენ აქაურები ოსმალეთში გადასახლებასაო.

*** იქიდამვე მოგვივიდა ამბავი, რომ გზებზე გაცხარებული მუშაობა არისო ასე, რომ ამ ორი თვის შემდეგ ბათუმიდამ ოზურგეთამდინ ტროიკით შეიძლება მოგზაურობაო.

*** ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ ფუთი ჩავთი ამ ჟამად იქ ორ კაპეიკად იყიდებაო.

*** კახეთიდამ გვწერენ, რომ ამ ერთის კვირის წინათ სოფ. შაშიანში და ზოგიერთ სხვა სოფლებში საშინელი სეტყვა ყოფილა და ბევრი ზიანი მიუცია იქაურ ვენახებისათვის.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გამომძიებელს უფ. ხოსროევს აღმოუჩენია ოსმალოს კონსულის მკვლელები. (ეს მკვლელობა, თუ ახსოვს მკითხველს, ამ ორი წლის წინათ მოხდა ქალაქში, ცოლი და ქმარი ერთად მოკლეს). მკვლელები ყოფილან: ერთი ბიჭი ამ კონსულისა და ორიც ვიღაც თფილისის მცხოვრები მოხელეები (მკერვლები), რომლებიც კიდეც გამოსტყდნენ. გამომძიებელმა აღმოაჩინა ზოგიერთი ნივთები, რომელიც დაიკარგა ამ მკვლელობის დროს: ორი საათი, ერთი ოქროსი, მეორე ბრილიანტებიანი (ცოლის) და სხვ.

---

## ორიოდე შენიშვნა *)

(წერილი რედაქციაში)

რადგანაც, მათის აზრით, უწინ ყველას აჯდა ზედ შუბლზედ ეს ერთიანი აზრი, ყველას ერქვა ერთიანი სახელი—ქართველი, ეს სახელი არ იყო „დარღვეული“, „გონებიდამ ამოშრალი“, ამიტომ მეორე კულტათ ამათ აქვსთ წარსული, ძველებური დრო, რომლის წინ ისინი მუხლს იდრეკენ და პატივსა სცემენ, რომელიც მათ წარმოუდგენს ქვეყნად განხორციელებულ ბედნიერებას, ერთობას, თავისუფლებას. იქით, წარსული ცხოვრებისკენ, ჩვენი ცხოვრების უკანისკენ არის მიქცეული მათი იმედი, ლტოლვილება, გრძნობა-გონება. ის არის მათი ცხოვრების და უკეთესობის იდეალი, იქიდამ ილებენ ისინი სიგმირის და ყველა სხვა კარგი საქმის მაგალითებს, იქა ჰყავთ მათ ახოვანი, მამულის ერთგული და ხალხის მოყვარული და მეგობარი მეფენი და მოხელენი. იგინი უცრემლოთ სტირიან, გულის და ნაღველის აუშფოთებლად და უგრძნობლად სწუხან, გმინავენ, გოდებენ ამ წარსულზედ.

> ქვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა,
> და აღმეშალა დიდი ხნის წყლული...
> შევჰკვნეს, შევსტირი მე ამა ზვირთთი,
> თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.

აბა დააცქერდით მათ მოქმედებას, მათ ცხოვრებას, დააცქერდით მათ ზანტ და ჩასუქებულ სახეს, და მაშინ დარწმუნდებით, თუ რა ნაირად განუგმირავს მათი ბუნება ამ „დიდი ხნის წყლულს“, რა ნაირათ აუშფოთებია იგინი „კვნესას“ და „ტირილს“...

მომავალზედ ესენი სრულებით უიმედონია; ეს მომავალი ამათ სრულებით არა აქვსთ, ანა აქვსთ ისე, როგორც წარსულს საცერში გაცრილი და ცხრილში გაცხრილული.

ამიტომ მწარე დღეს დააყენებენ ყველა იმას, ვინც უწინდელ ცხოვრებაში ჩირქს დაინახამს და გამოაცხადებს, ვინც ისტორიული ფაქტებით დაამტკიცებს მაგ წოდებათა შორის მტრობას და უთანხმოებას ან სხვას რისმე შავს მოვლინებას. მათთვის არავითარ ფაქტს არა აქვს ფასი და მნიშვნელობა, თუ ის თავდაყირა აყენებს მათ „პრინციპს“, თუ ის არ ეთანხმება მას. იმათ თავისი „პრინციპი“ ფაქტების განხილვიდამ კი არ გამოუყვანია, მათზედ კი არ აუშენებია,—როგორც ყოველი რელიგიური კულტი, ისინი თაყვანსა სცემენ სიტყვას გალიუცინაციას, ფანტაზიის სიცრუეს—ძველს დროს, რომელიც მათ გონებაში ისეთივე სრული ატრიბუტებით არის დახატული, როგორც უსწავლელი ხალხის გონებაში მისტიური ქმნილებანი...

აქაც შეუძლიან მკითხველს გაიხსენოს ზოგიერთი კონკრეტიული მაგალითები, რომლებიც აგრეთვე ცხადათ უჩვენებენ, თუ რა სისულელის კედლებს მოაყენებს გორებით ბრმა კაცს ეს ჩინებული პრინციპი...

უმთავრესი ნიშანი, თვალით დასანახავი და ყურით გასაგონი, ქართველთა ერთობის არის ენა; ამიტომ მესამე მათი უწმინდესი და მიუკარებელი კულტი არის ე ნ ა. სადამდის მიახწია ამ ენის გაღმერთებამ, მის წინ გონების დაბნელებამ და გაუგებლობამ,—ამას ცხადათ გვიჩვენებენ მსჯელობანი ჩვენს შკოლებზედ და ჩვენ განათლებაზედ. მქვი არ არის, რომ ენა ძვირფასი საუნჯეა კაცის საზოგადობრივ ცხოვრებაში, რომ სამშობლო ენის განდევნა სწავლაში ერთი იმ უმსგავსო და უგუნური მოქმედებათაგანია, რომლებიც ისტორიაშიაც მაგრა ჩაწერილნია; მაგრამ ესაა უბედურება, რომ ენის ტაძრის პატივისმცემელთ ენის იქით აღარაფერი მიაჩნიათ; ისინი ხედავენ სახალხო შკოლების უნაყოფობის, ან მეტად ნაკლებ ნაყოფის მიზეზს მარტო ენაში და სხვა არაფერში, როდესაც ცხადათა სჩანს, რომ უმთავრესი მიზეზი შკოლების უნაყოფობისა და ნაკლები სარგებლობისა სულ სხვა არის,—ის დევს თვით პროგრამების შინაარსში, მათ პრაქტიკულათ გამოყენებაში, თვით საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში და ენის საჭიროებაში და მოთხოვნილებაში, ხალხის ეკონომიურ და გონებით მდგომარეობაში, და ვიდრემდის ეს პირობანი დასტრიალებენ სახალხო შკოლებს, ჩვენ მოგვინდება ბევრჯერ ჩივილის გამოცხადება, თუნდა თავიდამ ბოლომდის ქართულს ენაზედ მიმდინარეობდეს სწავლა.

ამავე კულტის თაყვანის-ცემა აბრაზებს ჩვენ „მწიგნობრებს და ფარისევლებს“, როცა ვინმე გაჰკიცხავს უაზრო ნაწარმოებს და ნაწერს ქართულს ენაზედ. ყველა ნაწერი ქართულ ენაზედ, გარდა მისა, რაც ეკუთვნის იმათ მოწინააღმდეგეთ, რაღაც წმინდათ მიაჩნია. ერთმა ამ ჯურის პირთაგანმა მწიგნობარმა, ამ წინაზე ბევრი უმარილო სიტყვა დახარჯა და პაწაწკუნა გონების და გულის სიამაყე ამოსთხივა იმ პირების წინააღმდეგე, რომლებიც მისი თვალით არ უყურებენ და მისი გონებით არა სჯიან სხვა-და-სხვა „ლექსთა კრებაებზედ“; „ყარამანიანზედ“, „დავრიშიანზედ“, „ქალ-ვაჟიანზედ“, „ალექსიანზედ“ და სხვა ამ გვარ სისულელებაზედ.

ყოველგვარი ნათქვამი ქართულს ენაზედ, თუ ეს ნათქვამი იმათ ენის კილოზედ არ არის, იმათი ღრამმატიკის კანონებზედ არ არის დაფუძნებული, მათ სამშობლო ენის შეგინებათ მიაჩნიათ და მამულის ღალატობად. მაგ., თუ შენ სთქვი: „მამი ჩემის სახლი“, და არა „სახლი მამისა ჩემისა“, „ღამის თერთმეტი საათი იყო“, და არა „თერთმეტი საათი იყო ღამისა“, „გული ეწოდა“, და არა „გული ეთუთქებოდა“, „იმან დააჯერა გული, რომ ლილია იმას არ შეირთავდა“, და არა „იგი შეეჩვივა იმ ფიქრს, რომ ლილია იმას არ შეირთავდა“, „ვერაფრით დაიპყრა ლილიას გული“, და არა „ვერაფრით მოინადირა ლილიას გული“ და სხვ. და სხვ.,—თუ შენ სთქვი პირველ კილოზედ, და არა მეორეზედ, მაშინ შენ გახდები ენის სიწმიდის დამარღვეველი და მათი კულტის შემარყეველი.

არამც თუ სიტყვები და წინადადებანი, მთელი ბაასი შენ უნდა დაამყარო ანტონ კათოლიკოზის „წყობილ სიტყვაობაზედ“ და „მეფხვის ტყაოსანზედ“, ან, უკეთ ვსთქვათ, ახლანდელი ენის დამცველთ ღრამმატიკაზედ და პიიტიკაზედ. შენ უნდა ილაპარაკო და სწერო ამ გვარ მჭერმეტყველურად: „ეს სამწუხარო ამბავი ერთის თვის წინათაც შესაძლო იყო, რ ო მ მომხდარიყო, მაგრამ ეს ქალაქი ისეთის მამულის მოყვარეობით, ისეთის მამაცობით და სახელ-გათქმულის საქმეებით იყო ძველადვე გამოჩენილი, რ ო მ იმის მშვიდობის-მყოფელნი(???) მცხოვრებნი მოქალაქენი, რ ო მ ე ლ თ ა ც სამხედრო საქმისა და სწავლისა არა გაეგებოდათ-რა, უკანასკნელ დღემდის ეჭვობდნენ და არა სჯეროდათ, რ ო მ მტრის ჯარი ქალაქ ო—ში შემოვიდოდაო, იმედოვნებდნენ, რ ო მ რ ო მ ე ლ ი მ ე სასწაული ამისთანა სა-

---

*) „დროება“, № 95.

მარცხვინო და სათაკილო თავ-გარდასავალიდამ დაიხსნიდა“.

ამისთანა მაგალითები ათი-ათასობით მოიპოვება მათ ნაწერებში, და მე იმიტომ კი არ მომყავს აქ, რომ ვინმე გავკიცხო და ენის უცოდინობაზედ შევარცხვინო, სრულებითაც არა; მე მინდა ამით ვაჩვენო მკითხველს, თუ რა საფუძველი აქვსთ ენის სიწმიდის დამცველთ და მის თაყვანის-მცემელთ, რომ ისინი ამნაირ ვალდებულობას იღებენ თავის თავზედ.

მე შემეძლო ზოგიერთი სხვა ამათი „პრინციპებიც“ მომეყვანა, მაგრამ ახლა ამას ვიკმარებ. აქ მსურს წარმოუდგინო მკითხველს ზოგიერთი კითხვები, რომლების პასუხებიც ჩემ გონებაში ვერ მომიძებნია და რომლებმაც მიმიყვანეს მე იმ დასკვნასთან, რომ ყველა ეს პრინციპები ჩვენ წინამძღვარ საზოგადოებაში ცარიელი სიტყვებია, ცრუ წარმოდგენანი:

მითხარით და მიჩვენეთ, რა შესამჩნევი საქმე გაუკეთებიათ ამ პრინციპების დასაცველათ, მათ ცხოვრებაში გზის გასაკვალავათ? რას ხედავთ თქვენ მათ მოქმედებაში, რომელსაც შეეძლოს ქართველობის, ამ „დიდებული აზრის“ განხორციელება? საქმე ცარიელი სახელი კი არ არის, საქმე შინაარსია, საზოგადო ინტერესებია. თუ ხალხთ, დასთ, წოდებათ არ მიეცა, ისტორიულ პირობათ თანხმად, საზოგადობრივ-ეკონომიური თანასწორობა, რაც უნდა სახელი დაარქვათ, ეს იქნება გარეგანი სახე შინაგანი უმსგავსოებისა, უთანასწორობისა, და ამ შიგნით გულში ყოველთვის გაჩნდება მღრღნელი ჭია, რომელიც დაარღვევს ყოველგვარ ქერქს, რაც უნდა სისქე და სიმტკიცე მისცეთ მას. აბა ახლა თქვენ დააცქერდით ამ ვაჟბატონების თეორეტიკულს და პრაკტიკულს ჩხირ-კედელობას და მომეცით პასუხი, რითი შეჰკრეს მათ ქართველებს შუა შინაგანი ცხოვრების სხვა-და-სხვა გვარი ელემენტები, რით განაძევეს ცხოვრებიდამ ის პირობები, რომლებიც ყოველთვის შეუძლებელათ ხდიან ყოველგვარ გაერთებას, ერთმანერთის თანხმობას? გამოიკვლიეს მათ ჩვენი ახლანდელი ხალხის ცხოვრება, უჩვენეს მას ის ბოროტება, რომელიც არღვევს მის ოჯახობას და მხნეობას, უჩვენეს ეს მომავალ თაობას?! ესენი იყვნენ და არიან შემორტყმულნი იმ გვარ პირობებით, რომ ყოველთვის შეუძლიან ჰქონდეს ამ გვარი ცოდნა. აბა რა ახალი ნათელი მოჰფინეს ჩვენ მრავალ ტანჯულს და გაჭირებულ ხალხს, რა შეღავათი მისცეს მას, გარდა ორიოდე-სამი ლიბერალური აზრისა, რომლებიც არიან დამყარებულნი პრინციპზედ „არც შამფური დაიწვას და არც მწვადიო“, ან, როგორც იტყვის რუსის სატირიკი, ერთთაც იგრძნონ შეღავათა და მეორეთაც არაფერი დააკლდეთო...

ყოველს ხალხის ტანჯვაში, მის უმამულობაში და უფულობაში, სამშობლოს ერთგული შვილები მიმართავენ წარსულს და უჩვენებენ იქ ნამდვილ წამალს, რომელსაც შეეძლება გაჰკურნოს ხალხის წყლული, შეამსუბუქოს მისი ტანჯვა და წვალება, რომელსაც შეეძლება გაჰკურნოს ხალხის წყლული, შეამსუბუქოს მისი ტანჯვა და წვალება, რომელსაც შეეძლება აღადგინოს გონებიდამ ამომშრალი დიდებული აზრი და ეს აღდგინება იქნება მეორეთ-მოსვლა და სამოთხის დამყარება. უბედურება ეს არის, რომ ეს დიდებული აზრი ვერ შეიძლებს ვერც სახნავი და სათიბი მამულის მოცემას, ვერც მშიერი კუჭის გაძღებას, ვერც ხარჯის და ბეგარის თავიდამ აცლას, ვერც გონების გახსნას, ვერც... ერთის სიტყვით, ამას არა აქვს და არ ექნება იმ გვარი მაგიური ძალა, რომ შეეძლებოდეს სასწაულების მოხდენა. რაც უნდა იკვნესოთ და იგმინოთ, რაც უნდა ცრემლი ღვაროთ „პირთა ზედა არაგვისათა და მტკვრისათა“, რაც უნდა „კვნესა ჩასდოთ ამ მდინარეთა ზღვირთებში და გაუგზავნოთ იმ დროთა ნეტარებისათა“, მაინც მტკვარი და მის პირზედ მცხოვრები ქართველი უგრძნობარი იქნება, და ვერ მოესწრობა იმ დროს, როდესაც ეს „მტკვრის ზვირთები“ (?) მოუტანენ მას პასუხს ძველის დროიდამ და შეუმსუბუქებენ მის ახლანდელ ტანჯვას.

ეს იმედი უნდა იყოს სრულიად დამყარებული აწმყოზედ და მომავალზედ, სასარგებლო და გამოსადეგ სწავლაზედ და მეცნიერებაზედ. რაც უნდა მცირე ისტორიული მასალები სთხაროთ და სჩხრიკოთ, რაც უნდა გმირები აღმოაჩინოთ იქიდამ, რაც უნდა „დიმიტრი თავდადებულები“ წარმოუდგინოთ ხალხს თავის მომავალი იდეალებათ, მაინც ვერ მისცემთ ამითი მას ხელში გასაღებს სამოთხისას, მაინც ვერ ამოჰკვეთთ ამითი ცხოვრებიდამ იმ ბოროტებას, რომელიც მაში შეგუბებულა და შეკრეფილა, თუნდა სრულებითაც აღასრულოთ თქვენი სასაცილო იდეალი, თუნდა ორმოცი თავდადებული აღადგინოთ საფლავიდამ, თავდადებულნი, რომელნიც მომეტებულათ დინასტიურ აყალ-მაყალში, შუღლში და ინტრიგებში ატარებდნენ ცხოვრებას; თვითონ იწყობდნენ ომსა და სტანჯავდნენ ხალხს, არღვევდნენ მის შინაურ კეთილდღეობას და სჩადიოდნენ ბევრს სხვა უსამართლო საქმეებს, რომლების ნაყოფს ვხედავთ ჩვენის საკუთარი თვალით და რომლისთვისაც ვერაფერი წამალი ვერ მოგვიძებნია და ჯერაც კიდე ვერ მოვსძებნით.

გ. უთურგაული

(დასასრული შემდეგ №-ში იქნება)

# განცხადებანი


თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მაისის 31-ს, იმის თან-დასწრებით, უპრავაში იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) მეტეხის ციხისათვის 149 საჟენის და ერთი არშინის შეშის იჯარით მოტანაზედ და აგრეთვე გუბერნიის საპყრობილისათვის 136 საჟენის შეშისა მომავალის 1880 წლისათვის.

(3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

„ყარამანიანისა“

ქუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი ყარამანიანისა

ფასი 40 კაპ.

გამგებელი კომიტეტი „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესად სთხოვს ამ „საზოგადოების“ წევრთ მობძანდნენ საზოგადო მორიგ კრებაში, რომელიც, წესდების § 7-ის ძალით, შესდგება 10 მაისს თფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, დილის 10 საათზე.

(5—5)

თფილისში, უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის

ნაწერი

და

ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა

ფასი წიგნისა ათი შაური.

(5—2)

ახლად გავმართე სტალარის (ხუროს) ქარხანა გურიაში, სოფ. ხიდისთავში.

ვაკეთებ იაფ ფასად ყოველ გვარ სახლის მოწყობილობას.

მ ურველს შეუძლიან ახლში. ოსრ მღვ. ფილიპე ქალანდაძის ან მიმთ

(3—2)

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გრიბოედოვისა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური


Дозволено цензурою. Тифлисъ 8 мая 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.